www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა საქართველოში

II კვარტალი
2022 წელი

15.08.2022 | www.geostat.ge

15.08.2022

უცხოელ ვიზიტორთა სტატისტიკა
(II კვარტალი, 2022 წელი)

2022 წლის II კვარტალში საქართველოს ტერიტორიაზე დაფიქსირდა საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების[1] 1 049.4 ათასი შემოსვლა, რაც 198.7 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. შემოსვლების უდიდესი ნაწილი, 47.0 პროცენტი, განხორციელდა 31-50 წლის მოგზაურების მიერ.

დიაგრამა №1

2021-2022 წლების II კვარტალებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლების განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



აღნიშნული რაოდენობიდან საერთაშორისო ვიზიტორების[2] მიერ განხორციელებული ვიზიტების[3] რაოდენობამ 922.2 ათასი შეადგინა, რაც 176.2 პროცენტით მეტია 2021 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე.

[1]ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის მეთოდოლოგიის თანახმად, **მოგზაური** არის ნებისმიერი ასაკის პირი, რომელიც გადაადგილდება სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალს შორის ნებისმიერი ხანგრძლივობითა და მიზნით.

[2]**ვიზიტორი** არის 15 წლის ან უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი მოგზაური, რომელმაც განახორციელა ვიზიტი საკუთარი ჩვეული გარემოდან საქართველოს ტერიტორიაზე ერთ წელზე ნაკლები დროით (გარდა შემდეგი კატეგორიებისა: დასაქმების მიზნით ჩამოსულები, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური ან საკონსულო ოფიცრები, შეიარაღებული ძალების წევრები ან მათ კმაყოფაზე მყოფი პირები, აგრეთვე პირები, რომლებიც ხშირად კვეთენ საზღვარს).

[3]**ვიზიტი** არის ვიზიტორების გადაადგილება.

15.08.2022

ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2021-2022 წლების II კვარტალებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლებისა და საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობას.

დიაგრამა №2

2021-2022 წლების II კვარტალებში საერთაშორისო არარეზიდენტი მოგზაურების შემოსვლებისა და საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა



2022 წლის II კვარტალში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობამ 765.3 ათასს მიაღწია, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 189.4 პროცენტით არის გაზრდილი.

საანგარიშო პერიოდში, საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელდა 749.3 ათასი ტურისტული ტიპის ვიზიტი, რაც 145.0 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს საერთაშორისო ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილებას ვიზიტის ტიპის მიხედვით.

დიაგრამა №3

2021-2022 წლების II კვარტალებში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის ტიპის მიხედვით



საერთაშორისო ვიზიტორების 81.8 პროცენტი მხოლოდ ტურისტები[4] იყვნენ. მხოლოდ ექსკურსანტების[5] წილმა 14.8 პროცენტი შეადგინა, ხოლო ვიზიტორების 3.5 პროცენტი იყო როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი.

ცხრილი №1

2021-2022 წლების II კვარტალებში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობის განაწილება ვიზიტორის ტიპის მიხედვით, ათასი

	II კვარტალი, 2021 წელი	II კვარტალი, 2022 წელი
მხოლოდ ტურისტი	242.2	625.8
მხოლოდ ექსკურსანტი	8.7	112.9
როგორც ტურისტი, ასევე ექსკურსანტი	13.5	26.5
სულ	**264.4**	**765.3**

[4]**ტურისტი** არის ვიზიტორი, რომელმაც ღამე გაათენა საქართველოს ტერიტორიაზე.

[5]**ექსკურსანტი** არის ვიზიტორი, რომელიც ღამეს არ ათენებს საქართველოს ტერიტორიაზე.

15.08.2022

2022 წლის II კვარტალში ვიზიტორების ყველაზე დიდი რაოდენობა, 147.7 ათასი, დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციიდან, რაც ვიზიტორების ჯამური რაოდენობის 19.3 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა თურქეთი 14.9%-იანი წილით, ხოლო მესამეზე - სომხეთი 12.1%-იანი წილით.

შესაბამისად, ვიზიტების ყველაზე დიდი რაოდენობა განხორციელდა რუსეთის ფედერაციის (175.4 ათასი), თურქეთის (158.3 ათასი) და სომხეთის (136.8 ათასი) მოქალაქეების მიერ.

დიაგრამა №4

2021-2022 წლების II კვარტალებში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტორების მოქალაქეობის ქვეყნის მიხედვით



*იგულისხმება საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სხვა ქვეყნის რეზიდენტები არიან.

ვიზიტორების უმრავლესობა, 48.5 პროცენტი, მიეკუთვნებოდა 31-50 წლამდე ასაკობრივ კატეგორიას. ქალების რაოდენობა მთლიანი ვიზიტორების 37.0 პროცენტს შეადგენდა.

დიაგრამა №5

2022 წლის II კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით



ცხრილი №2

2022 წლის II კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების რაოდენობის განაწილება სქესის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
კაცი	482.2	63.0
ქალი	283.1	37.0
სულ	**765.3**	**100.0**

15.08.2022

2022 წლის II კვარტალში ყველაზე მეტი ვიზიტი (52.0 პროცენტი) განხორციელდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით.

ცხრილი №3

2022 წლის II კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება ვიზიტის მიზნის მიხედვით, ათასი

	რაოდენობა	%
დასვენება, გართობა, რეკრეაცია	480.0	52.0
მეგობრების/ნათესავების მონახულება	209.3	22.7
ტრანზიტი სხვა ქვეყანაში გადასასვლელად	117.4	12.7
პროფესიული/ეკონომიკური საქმიანობა	65.2	7.1
შოპინგი	33.3	3.6
მკურნალობა, გაჯანსაღება	5.1	0.6
სხვა	11.7	1.3
სულ	**922.2**	**100.0**

ვიზიტების უმრავლესობა განხორციელდა თბილისსა და აჭარის ა/რ-ში, შესაბამისად, 512.7 ათასი და 375.3 ათასი ვიზიტი. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას მონახულებული რეგიონების მიხედვით.

15.08.2022

დიაგრამა №6

2022 წლის II კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით



2022 წლის II კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გათეული ღამეების საშუალო რაოდენობამ 6.2 ღამე შეადგინა.

განხორციელებული ვიზიტების 70.5 პროცენტი წარმოადგენდა განმეორებითი ხასიათის ვიზიტს. ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს 2022 წლის II კვარტალში საქართველოში განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის პროცენტულ განაწილებას კმაყოფილების დონის მიხედვით.

15.08.2022

დიაგრამა №7

2022 წლის II კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობის განაწილება კმაყოფილების დონის მიხედვით



15.08.2022

2022 წლის II კვარტალში განხორციელებული ვიზიტებისას გაწეული ხარჯები 2.3 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ვიზიტზე საშუალო ხარჯმა 2 440.2 ლარი შეადგინა.

ცხრილი №4

2022 წლის II კვარტალში საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ გაწეული ხარჯების განაწილება ხარჯების კატეგორიების მიხედვით

	ხარჯი (მლნ. ლარი)	%	საშუალო ხარჯი ვიზიტზე (ლარი)
საკვები და სასმელი	767.0	34.1	831.7
განთავსება	522.7	23.2	566.7
საყიდლები	423.9	18.8	459.7
გასართობი, გამაჯანსაღებელი, კულტურული და სპორტული ღონისძიებები	340.6	15.1	369.3
ადგილობრივი ტრანსპორტი	175.9	7.8	190.8
სხვა ხარჯი	20.3	0.9	22.1
სულ ხარჯი	**2 250.4**	**100.0**	**2 440.2**

შენიშვნა: ცალკეულ შემთხვევებში მცირე განსხვავება საბოლოო შედეგსა და შესაკრებთა ჯამს შორის აიხსნება მონაცემთა დამრგვალებით.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

ალექსანდრე არაბული, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: aarabuli@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge